

G75-13

1996

საქართველოს
აკადემიის
ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ა ი ბ გ ე

PROCEEDINGS

ИЗВЕСТИЯ

საქართველოს სსრ-ის
ECONOMIC SERIES
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



ტომი
VOLUME
TOM

4

1996

N 3-4

თბილისი * TBILISI * ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეჯის

ვ. პაპავა (მთავარი რედაქტორი), ვ. ადვაძე, გ. ადეიშვილი, თ. ბერიძე (სწავლული მდივანი), ზ. გიორგაძე, ა. გუნია, ა. კურატაშვილი, ი. მესხია, რ. შითაიშვილი, ნ. პაიჭაძე, ა. ხილაგაძე, თ. ჩიკვაიძე, დ. ჩიქავა, გ. წერეთელი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზ. ხასია, მ. ჭიბუტი

პასუხისმგებელი მდივანი ი. დემირხანოვა

EDITORIAL BOARD

V.Papava (Editor-in-Chief), V.Advazde, G.Adeishvili, T.Beridze (Scientific Secretary), L.Chikava, T.Chikvaizde, M.Djibouti, H.Giorgadze, A.Gunia, B.Khasia, A.Kuratashvili, Y.Meskha, R.Mitaishvili, N.Paichadze, A.Silagadze, G.Tsereteli (Deputy Editor-in-Chief)

Executive Secretary I.Demirkhanova

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

В.Г.Папавა (главный редактор), В.С.Адвалдзе, Г.Г.Адеишвили, Т.А.Беридзе (ученый секретарь), Г.Г.Гиоргадзе, А.Л.Гуния, М.Ч.Джибути, А.А.Кураташвили, Я.Е.Месхия, Р.Л.Митаншвили, Н.Н.Пайчадзе, А.Н.Силагадзе, Б.А.Хасия, Г.Ш.Церетели (зам. главного редактора), Л.Л.Чикава, Т.Н.Чикваидзе

Ответственный секретарь И.С.Демирханова

380007, თბილისი, კიკოძის 14, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
ტელ. 99-68-53, 99-07-02, ფაქსი: 99-83-89

P.Gugushvili Institute
of Economics, The Georgian
Academy of Sciences,
14, Kikodze street,
Tbilisi, 380007,
Republic of Georgia
tel: (8832)996-853,(8832)990-702
Fax: (8832)998-389

Республика Грузия
380007, Тбилиси,
ул.Кикодзе, 14
Институт Экономики
им. П. Гугушвили АН Грузии
тел: (8832) 99-68-53, (8832) 99-07-02
факс: (8832) 99-83-89



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
 THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
 АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

ა ა ს ბ ე

PROCEEDINGS
 ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია

ECONOMIC SERIES

СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ

ტომი 4, № 3-4

VOLUME 4, N 3-4

ТОМ 4, № 3-4

ჟურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში
 The journal is established in October, 1992
 Журнал основан в октябре 1992 года

გამოდის წელიწადში 4-ჯერ
 The journal is published 4 times a year
 Выходит 4 раза в год

თბილისი "მეცნიერება"
 TBILISI "METSNIEREBA"
 ТБИЛИСИ "МЕЦНИЕРЕБА"
 1996

შინაარსი

მეხია იაკობ	
მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სამეურნეო რეფორმების სრულყოფის საკითხები საქართველოში	67
ასათიანი როზეტა	
საზოგადოებრივი სექტორი საბაზრო ეკონომიკაში	78
ო'ბრაიენი ჯონ კონვეი	
სოციალ-ეკონომისტი თანამედროვე დილემის წინაშე: ეთიკური ფასეულობანი თუ ტექნოლოგიური წესრიგი	87
ცირამუა ედუარდ	
სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზის სწავლების მეთოდის სრულყოფის საკითხები	98
წესები ავტორთათვის	104

CONTENTS

Meskhia Jakob	
Problems of Macroeconomic Stabilization and Improvement of Economic Reforms in Georgia	67
Asatiani Rozetta	
Public Sector of the Market Economy	78
O'Brien John Conway	
The Social Economist on the Modern Dilemma: Ethical Dwarfs and Nuclear Giants	87
Tsiramua Eduard	
Some Problems of Improving the Methods of Economic Analysis Teaching in Economic Business	98
Instruction to Authors	104

СОДЕРЖАНИЕ

Мехия Яков	
Вопросы макроэкономической стабилизации и совершенствования хозяйственных реформ в Грузии	67
Асатяни Розетта	
Общественный сектор в рыночной экономике	78
О'Брайен Джон Конвей	
Социал-экономист перед современной дилеммой: этические ценности или технологический порядок	87
Цирамуа Эдуард	
Вопросы совершенствования методики преподавания экономического анализа хозяйственной деятельности	98
Правила для авторов	104



მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სამეურნეო რეფორმების სრულყოფის საკითხები საქართველოში

მეხნია ოპო
თბილისი, 380091
თემქა, XI მ/რ, I კვ.
ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
შემოვიდა 1996 წლის 25 დეკემბერს

20/13

რეზიუმე: საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდგომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციაში შეინიშნება ორი უკმაძინეთისაგან რადიკალურად განსხვავებული პერიოდი. პირველი პერიოდი მოიცავს 1991-1994 წლებს, როდესაც ეკონომიკურ რეფორმას არ ჰქონდა მიზნობრივი, სისტემური მიმართულება. რაც გახდა ეკონომიკის მოშლის ერთერთი მიზეზი. მეორე პერიოდი - 1994 წლიდან დღემდე, როდესაც რეფორმამ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჩარევის გზით მიიღო უფრო მოწესრიგებული ხასიათი და მოგვეცა გარკვეული პოზიტიური შედეგები. ამასთან დღეს რეალიზებულმა რეორმატორულმა მოდელებმა თანდათანობით ამოწურა თავის შესაძლებლობები და იგი უკვე ვერ ითვალისწინებს საქართველოს სპეციფიკურ მახასიათებლებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება მისი მოცულობის აუცილებლობა. ამ მიზნით შემოთავაზებულია ეკონომიკური სტაბილიზაციისა და სამეურნეო რეფორმების ახალი მოდელი რომელიც გასწავლის "შოკური თერაპიის" მეთოდის უფრო ფრთხილ გამოყენებას და მის მაქსიმალურ მისადაგებას საქართველოს სპეციფიკური პირობებისადმი, სახელმწიფოს როლის გაძლიერებას ეკონომიკის მართვაში, ზეარეგულ მკაცრი ფულად-საყრდნით პოლიტიკის გარკვეულ შეზღუდვას, საბიუჯეტო-საგადასახადო და საბაიო პოლიტიკის ტრანსფორმაციას დაბეგრის დიფერენცირებული მიდგომის შემოღების გზით, საინვესტიციო პოლიტიკის ოპტიმიზაციას, საღირებვო-პოლიტიკური სამუშაოების მეთოდის სრულყოფას და ბრძოლის გაძლიერებას კორუფციისა და მეტრეაფიციის წინააღმდეგ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და ეკონომიკური რეფორმების დაწყება დროში ერთმანეთს დაემთხვა. ამას დაემატა ამა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის და სამოქალაქო დაპირისპირება სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებათა ნიადაგზე. პოლიტიკური და ეკონომიკური უხიზრების ერთდროულად რადიკალურად გარდაქმნამ დიდი სირთულეების წინაშე დააყენა ქვეყანა. ეკონომიკური რეფორმები დაიწყო ჭკობურად, საჭირო მიზნობრივი პროგრამების, სამართლებრივი ბაზის უქონლობისა და მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომზადების გარეშე. სამეურნეო გარდაქმნებს საფუძვლად დაედო ყველაზე მარტივი მოდელი, რომელიც დაფუძნებული იყო ფასების მექანიკურ განთავისუფლებაზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღება პრივატიზაციის დაწყებამდე და ეროვნული ვალუტის შემოღებამდე უპროსპექტო იყო. პოპულისტურ-ლიბერალურ ფონზე გატარებული რეფორმები ძირითადად ემსახურებოდა მმართველი ხელისუფლების პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას და არა ეკონომიკის აღორძინებას. რეფორმების პირველ ეტაპზე (1991 წლიდან 1994 წლის მეორე ნახევრამდე) სპონტანურად გატარებულმა ლიბერალურმა ფულად-საყრდნით პოლიტიკამ, ბიუჯეტის არამომჭირნეობით ხარკვამ და დაუსაბუთებელმა საგადასახადო პოლიტიკამ მთლიანად მოშალა ქვეყნის ფინანსური სისტემა,


დააჩქარა ინფლაციის ზრდისა და ეკონომიკის დესტაბილიზაციის პროცესი. ნაჩქარევად და მოუშმადებლად ფულის ახალი ერთეულის - კუპონის შემოღებამ კიდევ უფრო გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი.

ეკონომიკური გარდაქმნების მეორე ეტაპზე (1994 წლის მეორე ნახევრიდან დღემდე) საქართველოში შეიქმნა ხელსაყრელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გარემო. ამ პერიოდში მიღებული იქნა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, ორწლიანი პაუზის შემდეგ დამტკიცდა სახელმწიფო ბიუჯეტი, დამთავრდა ფასების ლიბერალიზაციის პროცესი, აიკრძალა ბიუჯეტის დეფიციტის სუბსიდირება ეროვნული ბანკის შედგავითანი კრედიტებით. შედარებით მოწესრიგდა საგადასახადო სისტემა, განხორციელდა ბანკების აქციონირება, შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა, დამთავრდა მცირე და საშუალო პრივატიზაცია, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა მოსახლეობის ცხოვრების დონე. ყოველივე ამის შემდეგ გარკვეულ პროგრესი იქნა მიღწეული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის საქმეში.

აღნიშნულ ეტაპზე საქართველოში ეკონომიკური რეფორმების ტარდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროგაერთიანების და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციების საფუძველზე. მათი ხელშეწყობით საქართველოს გამოეყო 1.9 მილიარდამდე (აშშ დოლარებში) უცხოური კრედიტი, ტრანსფერტები, გრანტები, ჰუმანიტარული დახმარებები. აღნიშნული სესხი საინვესტიციო სფეროს გვერდის ავლით ძირითადად დაინახა საქონლისა და საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად. ამასთანავე, მიუხედავად მაკროეკონომიკურ სფეროში მიღწეული პოზიტიური ძვრებისა, ეკონომიკა ვეღავად კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება. როგორც პროგნოზები გვიჩვენებენ თუ შენარჩუნებული იქნება ეკონომიკური ზრდის დღევანდელი ტემპები და არ მოხდება რადიკალური გარდატეხა ეკონომიკაში, საქართველოს კრიზისიდან გამოყვანას და ეკონომიკის სრულ აღორძინებას ათეული წლები დასჭირდება. ამასთანავე, როგორც ფაქტორული ანალიზი გვიჩვენებს, რეფორმების მეორე ეტაპზე დღის წესრიგში დადგა მთელი რიგი ახალი პრობლემები, რომლებიც უნელ უნელიან ეკონომიკის აღორძინებასა და სტაბილიზაციას (იხ. სქემა 1). ამიტომ ჩვენი აზრით საჭიროა ამჟამად რეალიზებადი ეკონომიკური რეფორმების მოდელის არსებითი ტრანსფორმაცია და სრულყოფა.

ეკონომიკური რეფორმების ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მოდელში მთავარი აქცენტო აღებულია მაკროეკონომიკის სტაბილიზაციისა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვაზე. ამ მიზნით საჭიროდ მიგაჩნია მონეტარული მოდელის ("შოკური თერაპიის") ტრანსფორმაცია და საქართველოს ახალი პირობებისათვის მისადაგება, ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს როლის გაძლიერება, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფა, საბიუჯეტო-საგადასახადი და საბაჟო პოლიტიკის გადასინჯვა, ინვესტიციური პოლიტიკის ოპტიმიზაცია, საადრინცვით-ანალოზურ სამუშაოთა მეთოდის სრულყოფა, კორუფციისა და მეკრთამეობასთან ბრძოლის გაძლიერება და ა. შ.

უპირველეს ყოვლისა უარი ვთქვათ უცხოური კრედიტების მიღების მიზნით "შოკური თერაპიის" მოდელით ეკონომიკურ გარდაქმნებზე. აღნიშნულმა მოდელმა უკვე თითქმის ამოწურა თავისი შესაძლებლობანი მაკროდონეზე და საჭიროა მისი ტრანსფორმაცია. თანაც, როგორც ცნობილია, მონეტარულ მიდგომას არა აქვს არსებითი შედეგის წერტილი ეკონომიკური პოლიტიკის ისეთ პერსპექტიულ ელემენტებთან როგორცაა სამრეწველო პოლიტიკა, ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტების განსაზღვრა, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკა, რომელთა გარეშე შეუძლებელია დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება და ოპტიმალური ფუნქციონირება საქართველოში უცხოური კრედიტების



სქემა 1. ეკონომიკური რეფორმების შედეგები საქართველოში

მოცულობამ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ამჟამად ერთობლივი შიდა პროდუქტის წლიური ზრდის უმეტესი ნაწილი ხმარდება კრედიტების მომსახურებას. ასეთ პირობებში ახალი კრედიტები არა თუ შეანელებს დღევანდელი მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას, არამედ მძიმე ტვირთად დააწევა მომავალ თაობას, რადგან გადაუხდელობის პრობლემის გამო ფინანსური სანქციები თანდათან მატულობს და გადახდის ვადები დროში იწელება. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან რეფორმების ახალ მოდელში უნდა იქნეს ჩადებული უცხოური კრედიტების მოზიდვის შეზღუდვის კონცეფცია და მისი აღება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ სამამულო ინვესტიციებში ჩადების მიზნით. ამ მხრივ პოზიტიური ნაბიჯი იქნა გადადგმული 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, სადაც საქართველოს მთავრობის ახალი სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა განისაზღვრა 200 მილიონი ლარის, მათ შორის საგარეო ვალის - 102 მილიონი. ლარის მოცულობით, თუმცა ჩვენის აზრით, აღნიშნული რიცხვი საჭირო დასაბუთებას და არგუმენტირებას საჭიროებს. ქვეყნის წინაშე მდგარი გადაუხდელობის პრობლემა, არ იძლევა საშუალებას საქართველომ ახალ-ახალი კრედიტები აიღოს უცხოეთის საფინანსო ორგანიზაციებიდან და ქვეყნებიდან. ამჟამად ისიც მიუთითებს, რომ თურქეთის 50 მილიონიანი კრედიტი, რომლის გადახდის ვადა უკვე ამოიწურა, დღესათვის 10%-თაც კი არაა დაფარული და საფინანსო სანქციები აღებული ვალის მოცულობას უახლოვს დროში გაორგევებს, თუ რაღაც რადიკალური ღონისძიებები არ იქნა ამ მიმართულებით განხორციელებული. დღევანდელი ხელისუფლება ვალდებულია ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში ეძებოს საკუთარი (საშინაო) რეზერვები და არ დაუშვას მომავალი თაობის ხარჯზე საღვინო, მეორეხარისხოვან ღონისძიებებზე უცხოური კრედიტების მოზიდვის წლიური განაგარიშებით საქართველომ უცხოური კრედიტების მოზიდვის წლიური მოცულობა უნდა შეზღუდოს 40-50 მილიონ ლარამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ვალების სპირალისებრი დახვევა და მათი გათანაბრება ქვეყნის წლიურ ერთობლივ შიდა პროდუქტთან, რაც ახალი კრიზისის მომასწავებელია.

მეორე, მონეტარული მოდელი მაქსიმალურად ზღუდავს სახელმწიფოს მონაწილეობას ეკონომიკის მართვაში, რაც ნაკლებად ეფექტურია პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის და მათ შორის საქართველოსათვის. მსოფლიოში მსოფლიან-თქმული მეცნიერები, ნობელის პრემიის ლაურეატები: ლორენს კლინი, ვასილ ლეონტიევი, ჯიმს ტრინინ და სხვები მიუთითებენ, რომ სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკამ (ეკონომიკაში - მ.), რომელიც არის "მოკური თერაპიის" შემადგენელი ნაწილი, არ გამართლდა ... სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე ძირითადი როლი ეკონომიკაში ..." [1]. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს წამყვან საბაზრო ქვეყნებში შენარჩუნებულია სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში და იგი თანდათან კიდევ უფრო იზრდება. შემობრუნება კერძო სექტორში მოდელისაკენ არაა შემთხვევითი, პრაქტიკამ დადასტურა, რომ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ეკონომიკური ზრდის მიღწევა და კრიზისის დაძლევა შეუძლებელია. ამის ნათელი მაგალითებია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, რომლებმაც მონეტარული მოდელის გერდის ავლით ეკონომიკურ სისწრაფეს მიღწიეს. საქართველოში ეკონომიკის რეგულირებაში სახელმწიფოს როლის გაძლიერების მიზნით, ჩვენის აზრით, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ინდიკატორი გეგმების შედგენა, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე რეგიონულ კრილში (მხარეები, ქალაქები, რაიონები, დაბები, სოფლები). ამისთანავე სახელმწიფომ თავისი საკუთრების ფარგლებში დაბები, სოფლები). ამისთანავე სახელმწიფომ თავისი საკუთრების ფარგლებში უზრუნველყოს სტრატეგიული დარგების და საკომუნიკაციო სისტემების მართვა, ხელშეკრულებების და კონტრაქტების დადება უცხოეთის ქვეყნებთან, სამართლებრივ

ბრივი ბაზის შექმნა, საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკურთან ერთად მართვის აღმინისტრაციული მეთოდების გამოყენება.

მესამე, მონეტარული მოდელის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა მიმოცევაში არსებული ფულის მასის მაქსიმალური შეზღუდვა, რაც უთუოდ ეფექტურია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოზიტივიდან, მაგრამ მისი შენარჩუნება ხანგრძლივი პერიოდისათვის წინააღმდეგობაში მოდის მიკროეკონომიკური სტაბილიზაციის მოთხოვნებთან. რეფორმების მიმდინარე ეტაპზე საქართველოში გატარებულ მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად მიმოცევაში არსებული ფულის მასა მეტისმეტად შეეკუმშული აღმოჩნდა. ბოლო ორ წელიწადში დაფიქსირებულია ერთობლივი შიდა პროდუქტის ზრდის უფრო მაღალი ტემპი, მიმოცევაში გაშვებული ფულის მასის ზრდის ტემპთან შედარებით, ამასთან ერთად ფულის გაჭირვებას ხელს უწყობს ისიც, რომ არაა დაცული ოპტიმალური თანაფარდობა ფულის მასის მოცულობასა და ერთობლივი შიდა პროდუქტის სიდიდეს შორის. ჩვენი შიახლობებით განაგარიშებით, საქართველოში ფულის მასის ხვედრითი წილი ერთობლივი შიდა პროდუქტში არ აღემატება 6-8 პროცენტს, მაშინ როდესაც საერთაშორისო სტანდარტებით იგი უნდა შეადგენდეს 60-70 პროცენტს. ფულის მასის ხელოვნური შეკუმშვა და ეკონომიკის დემონეტარიზაცია ინფლაციის შემცირების პარალელურად იწვევს გადაუხადელობის კრიზისს, გადასახადების აკრეფის სირთულეს, შეფერხებებს ხელფასის გაცემაში, ბარტერულ ურთიერთობათა განვითარებას, ინვესტიციურ კრიზისს, კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის ფორმირებას და ა.შ. ჩვენის აზრით, დადგა დრო საქართველოში ზედმეტად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიცვალოს ზომიერად მკაცრი პოლიტიკა, რისთვისაც საჭიროა მიმოცევაში ფულის მასის დამატებით გამოშვებზე ერთობლივი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდის შესაბამისად.

მეოთხე, მონეტარული მოდელი ითვალისწინებს მკაცრ საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, რაც არის რეალური ფაქტორი ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, მაგრამ არათავსებადია მიკროეკონომიკის სტაბილიზაციის მოთხოვნებთან. ჩვენის აზრით, საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს. დღეისათვის მოქმედი საგადასახადო სისტემა ორი მიმართულებით უნდა იქნეს სრულყოფილი. პირველი - საჭიროა არა საგადასახადო განაკვეთების გადიდება, არამედ უნდა გაფართოვდეს დაბეგრის ბაზა. საქართველოს ერთობლივი შიდა პროდუქტთან თანაფარდობაში საგადასახადო შემოსულობანი შეადგენენ 6-8 პროცენტს, მაშინ როდესაც ცივილიზებულ ქვეყანაში იგი მერყეობს 30-დან 50 პროცენტამდე. საგადასახადო შემოსულობათა სიმცირე ძირითადად გამოწვეულია ქვეყანაში კომინალური ეკონომიკის (შემოსავლის გადამაღვა, არაფეხიური წარმოება და იმპორტი) მაღალი ხვედრითი წილით. მეორე, საჭიროა იმპორტულ საქონელზე საბაჟო გადასახადების ლიფტინგირება, რადგან დღეისათვის მოქმედი ერთიანი საბაჟო ტარიფები, ჯერ ერთი, ვერ უზრუნველყოფენ ბიუჯეტის შევსებას და მეორეც, საბაჟო სამსახურების კორუმპირებულობის გამო დიდძალი იმპორტული საქონელი საბაჟოს გვერდის ავლით შემოდის და იყიდება დემპინგურ ფასებში. ამ უკანასკნელის გამო სამამულო წარმოების საქონელი არაკონკურენტუნარიანი ხდება და შესაბამისად სუსტდება მეწარმეობრივი აქტივობა. ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიზანშეწონილია დაწესდეს მაღალი საბაჟო გადასახადები იმ სახეობის იმპორტირებულ საქონელზე, რომლის ანალოგი საქართველოში იწარმოება, ხოლო შედარებით დაბალი განაკვეთები იმ საქონლის იმპორტზე, რომელიც არ იწარმოება ჩვენს ტერიტორიაზე. ამით შესაძლებელი გახდება ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის დაცვა და მეწარმეობრივი აქტივობის გაზრდა.

ყველაზე სუსტი წერტილი ჩვენი საბიუჯეტო საქმიანობისა არის ბიუჯეტის დაგეგმვის მეთოდური ინსტრუმენტარის დაუმუშავებლობა. დღეისათვის ამის არც თეორია გვაქვს და არც პრაქტიკა. ფინანსისტები ახლ სწავლობენ დამოუკიდებლად ჰვეენის ბიუჯეტის შედგენას საბაზრო ურთიერთობათა პირობებში და ბუნებრივია, საჭირო გამოცდილება და მეთოდური ბაზა არ არსებობს. ამიტომაც სწორედ აქ არის მოსალოდნელი უფრო მეტი შეცდომების დაშვება.

სამეურნეო რეფორმების განვლილ პერიოდში გამოიკვეთა ორი საპირისპირო მიმართულება. ჯერ ლიბერალური საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკა, შემდგომ კი მისი ზედმეტად გამკაცრება. თანაც ლიბერალური მიდგომა გამოყენებულ იქნა გარდაქმნის იმ ეტაპზე, როდესაც ეკონომიკაში ჭარბობდა საშუაშელო-კომერციული საქმიანობა, ხოლო იგი გამკაცრებული იქნა მაშინ, როდესაც ეკონომიკამ ასე თუ ისე დაიწყო გამოცოცხლება. ყველაფერი კი პირიქით უნდა ყოფილიყო, როგორც ამას გვიდასტურებს მსოფლიო პრაქტიკა.

საგადასახადო კოდექსის პროექტით შეთანხვებულა, ერთდროულად როგორც გადასახადების შერბილება, ასევე მისი გამკაცრება. ერთი და მეორეც შეეხება გადასახადების ცალკეულ სახეობებს და პრინციპში ასეთი ტრანსფორმაცია გარკვეულწილად პრაქტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს და იგი მზარდასაქვრია. მაგრამ გასააზრებელია მთელი რიგი მომენტები, რათა ზიანი არ მიყენოს გადასახადების არც ფისკალურ და არც ეკონომიკურ ფუნქციას.

საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური სანქციების შერბილების პოზიცია პრინციპში მისაღებია. მაგრამ შერბილებაც არის და შერბილებაც. მოგების გადამაღლის ან შემცირების შემთხვევაში ფინანსური სანქციის 100-პროცენტტიანდ 10-მდე ჩამოყვანა, რეგისტრაციის გარეშე სამწარმოო საქმიანობისათვის ფინანსური სანქციის მთლიანად გაუქმება და ა.შ. რბილად რომ ვთქვათ: შერბილება კი არ არის, არამედ გადასახადის კატეგორიის, მისი შინაარსის უგულვებელყოფაა. ცუდასათვის ცნობილია, რომ ყოველნაირი გადასახადი იძულებითია, სახელმწიფო როგორც მონოპოლისტი თავის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მომსახურებას ყიდის გადასახადის გადახდელზე და ყიდის არა საბაზრო ფასებით, არამედ ცალმხრივად მის მიერ დადგენილ მონოპოლიური ფასით - ანუ გადასახადით. თუ არ ვადაიხადე გაიძულებს გადაიხადო და სწორედ ერთ-ერთი ბერკეტი ამ იძულებისა ან გაფართოებისა არის საფინანსო სანქცია. რა სადაც მიწოდება-მოთხოვნის პრობლემა ასე თუ ისე დარეგულირებულია და ცივილიზებული ბაზარია, გადახდელი შედარებით კულტურული და თვინიერი, მაგრამ იგი მაინც განიცდის შიშს სახელმწიფოს მხრიდან. ასეთი შიში აუცილებელი ფენომენია, რადგან რაც არ უნდა მდიდარი და კულტურული იყოს გადასახადის გადახდელი, იგი ყოველთვის ცდილობს შემოსავლების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. გადასახადის გადახდა ყველასათვის არასასიამოვნო პროცედურაა. ამიტომ სანქციების სისტემა ყველგან გამოიყენება და იგი მუდამ იქნება საჭირო. მაგრამ ჩვენში მართლაც და სანქციებმა კონფისკაციური სახე მიიღო. ამიტომ იგი გარკვეულ ცვილებას საჭიროებს, თუქცა არა იმ დონით რაც შემოთავაზებულია საგადასახადო კანონმდებლობით. ეს არის ერთიდან მეორე უკიდურესობაში გადაადრნა. ჩვენის აზრით, უნდა გამოინახოს რაღაც საშუალო, რომელიც ერთის მხრივ პასუხისმგებლობას გაუძლიერებს გადასახადის გადახდელს კანონის დაცვაზე და მეორეს მხრივ, მათთვის სანქციები არ ვახდებთ კონფისკაციური. იქნებ ასეთი სიდიდე იყოს არითმეტიკული საშუალო, არა ფინანსური სანქციის 10 პროცენტამდე ჩამოყვანა მოგების გადამაღლის დროს - არამედ 50 პროცენტამდე, ასევე არარეგისტრირების დროს სანქციის სულ მოხსნა. არა, არამედ არსებულის განახევრება და ა.შ. საბანკო პროცენტებთან სანქციის სიდიდის მიზმა, სანქციას თავის შინაარსს აკარგვინებს და იგი უმოქმედო ბერკეტი ხდება.

რაც შეეხება მოგების გადასახადის გადიდებას, აქაც სიფრთხილეა საჭირო, თვითღირსეულ ექნა გარკვეული შეცდომა დაშვებული. არც ერთ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში მოგების გადასახადი ისე მცირე არაა, როგორც საქართველოში, იგი გარკვეულ გაზრდას მოითხოვს, მაგრამ ამისათვის ახლა არაა შექმნილი არც ეკონომიკური და არც ფსიქოლოგიური გარემო. მეწარმეები ამ გადაწყვეტილებას უპასუხებენ მოგების გადიდებაზე, მისი სიდიდის დამახინჯებით. როგორც კი ქვეყანაში შეიქმნება წარმოებისათვის ხელსაყრელი სოციალურ-პოლიტიკური გარემო და მეწარმეები ასე თუ ისე ფეხზე დადგებიან, მაშინ შეიძლება დაისვას საკითხი აუნიშნული გადასახადის 20-25 პროცენტამდე გაზრდის შესახებ. ახლა კი უკიდურეს შემთხვევაში 5 პროცენტით ზრდაზე შეიძლება იყოს ლაბარაკი. ამასთან, ჩვენის აზრით, იგი უნდა დარჩეს დიფერენციალური ეკონომიკის ცალკეული სექტორების მიხედვით, თანაც სტრატეგიულ დარგებში მის გადიდებას უნდა მოვერიდოთ. რაც შეეხება საბანკო სისტემას აქ მოგების გადასახადი უცვლელი უნდა დარჩეს, რადგან ბანკებს ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში მოგების მიღება ისე არ უჭირთ, როგორც პროდუქციის შემქმნელ სამეურნეო სუბიექტებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა გადასახედილი და რადიკალური სრულყოფის საჭიროებას დღეისათვის პრაქტიკაში დანერგილი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის შეფასების სტატისტიკური მეთოდოლოგია. სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს სიყვანის შეტანა ფინანსური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური აღორძინების არსის გაგებაში. არაა სწორი ინფლაციის ზრდის შეჩერების პროცესის ფინანსურ სტაბილიზაციასთან გაიგება. დღეისათვის ინფლაციის შეჩერება რეალური ფაქტია, მაგრამ ეს როლი ნიშნავს, რომ მიღწეულია ფინანსური სტაბილიზაციის უკიდურესი ინფლაციის შეჩერებასთან ერთად გულისხმობს საბიუჯეტო სისტემის მდგრადობას, საბანკო სექტორის საიმედოობას, მის აქტიურ ზეგავლენას ინვესტიციურ აქტივობაზე და ეკონომიკურ ზრდაზე, საწარმოო ფინანსების მდგრადობას, საბრუნავი საშუალებების ზრდას, სამეურნეო სუბიექტების გადახდისუნარიანობას და ა.შ. მხოლოდ აღნიშნულ მოვლენათა მიღწევის შემთხვევაში შეიძლება საქართველოში ფინანსურ სტაბილიზაციაზე საუბარი. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკადემიკოსი ლ. აბალიანი "ავადმყოფი ეკონომიკის პირობებში არ შეიძლება იყოს ჯანსაღი ფინანსები" [2, ფ.12]

ასევე გაუმართლებელია ეკონომიკურ ზრდაზე საუბარი მაჩვენებლების წინა წელთან სტატისტიკური შეფარდების გზით, საქმე იმაშია, რომ გარდამავალი პერიოდში ეკონომიკური მაჩვენებლები მკვეთრად დაცემა, ხოლო ასეთი დაბალი მაჩვენებლების ურთიერთშეფარდების გზით მიღებული ეკონომიკური ზრდის პროცენტული მაჩვენებელი რეალური ეკონომიკურ ზრდას არ აფიქსირებს. ამიტომ, ჩვენის აზრით, ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად მიზანშეწონილია არა სხვადასხვა წლებში მაჩვენებელთა პროცენტული სიდიდის, არამედ სტრუქტურული, პარამეტრების გამოყენება, ვთქვათ 1995 წელს წარმოებულ ერთობლივი შიდა პროდუქტის ხვედრითი წილი 1990 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან. ამგვარი შეფასებით შესაძლებელი გახდება ეკონომიკური განვითარების რეალური სურათის დაფიქსირება. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან მიზანშეწონილად მივიჩნევა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკასთან ერთად სახელმწიფო სტატისტიკამ პრაქტიკაში შემოიღოს სტრუქტურული მაჩვენებლების გაანგარიშება, რათა ხელი შეუწყოს და მოსახლეობას ეკონომიკური რეფორმების რეალური შედეგების შეფასების საშუალება მიეცეს.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის და ეკონომიკური რეფორმების ერთობლივ დიდი დამამუხრებელი ფაქტორის დღეისათვის წარმოადგენს კორუფციის და მექრთამეობის მოძღვრება. სახალხო მეურნეობის რეფორმირებამ, რომელიც დიკავშირებულია საკუთრების ფორმების გარდაქმნასთან, მეწარმეობის აღორძინებასთან, სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების პრაქტიკის განხორციელებასთან,

ახალ სამიწათმოქმედო ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან, კორუფციისაგან უბიძგა საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს საზოგადოებრივი პრობლემების ნაწილის უკანონოდ მიღების შესაძლებლობამ გულჭრილ არ დატოვა სხვადასხვა სახის მიმტაცებლები, შემთხვევითი ხალხი და უბრალოდ არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც შეუერთდნენ თანამედროვე ბიზნესმენების რიგებს. მსხვილი სასაკულავო გათიხებით მიღებული ფულადი თანხები და მატერიალური ფასეულობები გამოიყენება შესაბამისი ჩინოვნიკების მოსყიდვისათვის. ამასთან შეინიშნება ქრიაშების ზომების მკეთილი ზედა. რეფორმების გატარების დროს დაშვებული შეცდომები, რომლებიც გამოიწვევს მოქალაქეების ცხოვრების დონის დაცვას, არსებითად შეზღუდეს შემოსავლების მართებული წესით მიღების შესაძლებლობა მოსახლეობის საკმაოდ ფართო ფენისათვის და იმედროულად გაზარდეს გამდიდრების ცდუნება კორუფციის საშუალებით. თუ შედარებით ახლო წარსულში ქრთამის მიცემისათვის მომზადებაზე გადიოდა კორუფციის, ზოგჯერ კი თვეებიც, ახლა ყველაფერი წყდება რამოდენიმე დღეში და საათებშიც კი.

დღეისათვის საქართველოში კორუფციას და მექრთამეობას ადვილი აქვს მართვის იერარქიის თითქმის ყველა საფეხურზე. განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს მიაღწია კორუფციამ ხელისუფლების ზედა რგოლებში, სადაც გარკვეული წილის საფასურად მიიღება გადაწყვეტილებები, რომელიც ხელს აძლევს დამკვეთებს და ეწინააღმდეგება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს. ამასთან კორუფციის ქსოვიში ჩაეფლენ ისინიც, ვინც თავის სამსახურებრივი სტატუსით მოწოდებულია ებრძოლოს მას. ეს მეტად საშიში მოვლენაა და თუ არ ეჩნა მიღებული რადიკალური ღონისძიებები, ქვეყანას კორუფცია უფრო კრიზისულ სიტუაციაში მოაქცევს, ვიდრე ეს გააკეთა ინფლაციურმა პროცესებმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონტრაქტის ორგანიზაციაზე, უფრო მწიკად მის არარსებობაზე, საუწყებო სარევიზიო აპარატი ფაქტურად ლაკონიკურება, მის სანაკლავო კი არაფერია შექმნილი. ამასთან ცნობილია, რომ ყველა თავის ნაკლოვანებებთან ერთად, საუწყებო საკონტრაქტო-სარევიზიო აპარატი არა მარტო ავინტა, არამედ რეალურად ხელს უშუღა თანამდებობის პირებს ბოროტ ქმედებებში. შესუსტებული აღმოჩნდა საგარეო კონტრაქტის სისტემა. საგარეო კონტრაქტის ორგანიზების წრე რაოდენობრივად გაიზარდა, გაფართოვდა მათი საკონტრაქტო ფუნქციები. მნიშვნელოვანი საკონტრაქტო ფუნქციები აქვთ ქვეყნის პარლამენტს, ტერიტორიული წარმომადგენლების ადმინისტრაციას, სახელმწიფო ტენების მართვის სამსახურს, ანტიმონოპოლიურ დეპარტამენტს, საბაჟო დეპარტამენტს, სხვადასხვად სამსახურებს, სამართალდამცავ ორგანიზაციებს და სხვა. ამრიგად შექმნილია და ფუნქციონირებს სხვა საკონტრაქტო ორგანიზაციები, მაგრამ მათი მომრავლება, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არ ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას წესრიგზე და დისციპლინაზე სამეურნეო საქმიანობის სფეროში. ეს აისახება იმათ, რომ საკონტრაქტო ორგანიზაციები არ არის ორგანიზებული ერთიან სისტემაში, მოქმედებენ განცალკევებულად და სუსტად არიან ერთმანეთთან კორდინირებული. საკონტრაქტო ორგანიზაციის სუსტი ინფორმაციული უზრუნველყოფა არ აძლევს მათ საშუალებას მთლიანად ფლობდნენ სიტუაციას. მაკონტრაქტული ორგანიზაციების თანამშრომლებს აქვთ სუსტი პროფესიული მომზადება, არ სარგებლობენ თავიანთი უფლებებით. ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ ბოროტმოქმედნი სარგებლობენ რა საკონტრაქტო სისტემის ნაკლოვანებებით, მიმართავენ სხვადასხვა სახის ზეწოლას მაკონტრაქტულ ორგანიზაციებზე, მათ შორის ქრთამებს, არ ეშინიათ გამოამჟღავნებინა, მოქმედებენ დარწმუნებით, დაუინიებთ და საბოლოო ანგარიშით აღწევენ თავიანთ დანაშაულებურ მიზნებს.

ამგვარად დღე მუშაობა მიმდინარეობს სააუდიტორო მომსახურების ქსელის ფორმირების მიმართულებით, თუმცა აქაც აღწევენ არაქანსადი ძალები. აუდიტორულ ფორმებში იწყება სხვა მაკონტრაქტული სამსახურების მუშაობა ფართულ

ჩართვა, მათ მიერ ფორმების გახსნა სხვისი სახელით და ამით სამეურნეო სუბიექტებზე ზეწოლა და ფულით გამოძალვა.

სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის არსებითი ნაკლია საწარმოთა რეგისტრაციის სისტემის სირთულე, მეწარმეთა დაუცველობა ჩინოვნიკებისაგან, დოკუმენტების ზედმეტი ფორმალიზაცია.

კორუფციის განსაკუთრებით ხელს უწყობს სამართლებრივი სახის სხვადასხვა ფაქტორები. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სამეურნეო საქმიანობის მარგუვლირებელი კანონმდებლობის არასრულყოფილება. დღეისათვის მოქმედებს საქართველოს პრეზიდენტის მრავალი ბრძანებები, მთავრობის დადგენილებები, უწყებრივი ბრძანებები და ინსტრუქციები. ნორმატიული აქტების რაოდენობამ ეკონომიკის ცალკეული სფეროების მიხედვითაც მიაღწია უზარმაზარ მასშტაბებს. ასეთი რაოდენობის ნორმატიულ აქტებში გარკვევა პროფესიონალური იურისტთა ცი უჭირს. გარდა ამისა, სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება ხასიათდება არასტაბილურობით. ახლად, მიღებული კანონები ჩქარა-ჩქარა კორექტივდება, რაც ხდება კორუფციის და მექრთამეობის წყაარო.

ახალი კანონების მიღებას ყოველთვის თან არ სდევს უკვე მოქმედ კანონებში დროული ცვლილებების შეტანა. შეინიშნება შეუთანხმებლობა, ხშირად კი წინააღმდეგობა იმ ნორმატიული აქტებისა, რომლებიც არეგლამენტირებენ ერთობიური საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ნორმატიული აქტების რეალიზაციის სამიედო მექანიზმის შექმნისადმი არასაკმარისი ყუ. აღდება ამუხრუქებს მათ შესრულებას. ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ კანონის გამოყენება დამოკიდებული ხდება თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებზე. მათ შეუძლიათ სამართლებრივი ნორმებით მანიპულირება თავისი სურვილისამებრ, რომელიც არც თუ ისე ხშირად არ შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესებს.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს კანონების გამოყენების პრაქტიკას. სამართლებრივმა ნიპილიზმმა მოიცვა არა მარტო თანამდებობის პირები, არამედ საკონტროლო და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებიც. ყოველივე ეს ძალზე ნეგატიურად აისახება დანაშაულების გახსნაზე, აღმნაშვავთა პასუხისგებაში მიცემაზე.

მექრთამეობასთან ბრძოლის ქმედითი ზოგების განხორციელება არ შემოიფარგლება მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროთი. სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს სამეურნეო საქმიანობის სამართლებრივი ბაზის ფორმირება, რომელიც ასტამულირებს საზოგადოებრივ წარმოებას. კანონები უნდა მოიცავდნენ მეურნეობრიობის ყველა სფეროებს, უნდა იყენენ მარტივნი და ხელმისაწვდომნი აღსაქმელად, არ წარმოადგენდნენ აკრძალვის კრებულს, ბუნდოვან წარმებს, არამედ უნდა უზრუნველყოფდნენ საქმიანი ინსტიტუტის განვითარებას, იცავდნენ მეწარმეებს ჩინოვნიკების თვითნებობისაგან. არანაკლებ პასუხისმგებელი მიდგომა უნდა ახასიათებდეს სამართალგამოყენებით პრაქტიკასაც. იგი უნდა ეყრდნობოდეს პროფესიონალებს, სახელმწიფო აზროვნების მქონე ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ შეუსაბამო ერთმანეთს საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გულისხმობს შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას, ამ საკითხებისადმი უყურადღებობამ უკვე გამოიწვია ნეგატიური შედეგები. რომელთა რიცხვს მიეკუთვნება მმართველი აპარატის გაბერვა მათ მიმართ უკონტროლობა, მმართველების გარკვეული ფენის კორუპციონერულობა. ცხადია, აუცილებელია კარგად გააზრებული იქნას ეკონომიკური რეფორმის უმნიშვნელოვანესი მიმართულებების საორგანიზაციო მექანიზმები და მათ საფუძველზე მიღებული იქნას შესაბამისი ორგანიზაციები, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების პრივატიზაციის, ბიუჯეტის დაგეგმვის, ეკონომიკაში არასახელმწიფო სექტორების შექმნის, მიწის რეფორმის ჩატარების, საგარეო ეკონომიკური

საქმიანობის ორგანიზაციის, სამეწარმეო საქმიანობის, სახელმწიფო კონტროლის სისტემას.

კორუფციის წინააღმდეგ ამჟამად გამართული ბრძოლა არსებით შედეგებს გამოიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმე მიენდობა არაკორუმპირებულ ორგანოებს და ბიროვნებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი ქაღალდზე დარჩება ან კვლავაც გაგრძელდება ის მოჩვენებითობები, რომელსაც დღეს აქვს ადგილი ქვეყანაში და კორუფცია უფრო დიდ საფრთხეს შეუქმნის მიმდინარე დემოკრატიულ გარდაქმნებს.

ლიტერატურა

1. Независимая газета, 1 июля, 1996г.
2. Абалкин Л., *Экономические реалии и абстрактные схемы*, Вопросы экономики", 1996, N12.

Problems of Macroeconomic Stabilization and Improvement of Economic Reforms in Georgia

Meskhia Jakob

Scientific-Research Institute of Financy

"TEMKA", m/r XI, kv.1

Tbilisi 380091

Georgia

Summary. After the great historical moment in our Republic - its governmental restoration Georgia is noticed to have two radically different periods in the social-economical transformation system. The first period includes 1991-1994, the time when economical reforms had difficulty in finding, specific, purposeful direction, so it was just the main reason regarding knocking down the economy. The second period, consisted of 1994 and up to now, is more favourable time for implementation of the reforms, find is the result there's some good visible outcome. It has happened by means of the participations of International Fiscal Institutions. So far up to now, a constructed reform model used in the second period fully with its ability and potentiality cannot and should not be carried out, in further efforts and steps. For moving more and more rapidly to implement far-reaching reforms it needs modification. Consequently it is suggested quite new model of stabilization of economy and means "shock therapy" designed to find the way for more careful and maximum using, taking into account Georgia's specific conditions, it is a very important moment as well and strengthening the administration role

of Government in economy, using more moderate credit policy. Now concerning the transformation in "taxation policy", taxability must be done by helps of differentiation. It is the way of solving customs policy. As for investments - its widening and vitality, struggle against corruption.

Вопросы макроэкономической стабилизации и совершенствования хозяйственных реформ в Грузии

Месхия Яков
Тбилиси 380091
ТЭВЗ, XI м/р, I кв.
Научно-исследовательский
институт финансов

Резюме. После восстановления государственности Грузии прослеживаются два радикально отличающихся друг от друга периода в трансформации социально-экономической системы страны. Первый период охватывает 1991-1994 годы, когда экономическая реформа не имела целевой, системной направленности, что стало одной из главных причин развала экономики. Второй период - с 1994 года по сегодняшний день, когда реформа путем вмешательства международных финансовых институтов приняла более упорядоченный характер и дала определенные позитивные результаты. Вместе с тем, реализуемая в настоящее время реформаторская модель постепенно исчерпала свои возможности, и она уже не в состоянии учитывать специфические характеристики Грузии, вследствие чего возникает необходимость ее модификации. С этой целью предлагается новая модель макроэкономической стабилизации и хозяйственных реформ, подразумевающая более осторожное применение метода "шоковой терапии" и его максимальное приспособление к специфическим условиям Грузии, усиление роли государства в управлении экономикой, определенное смягчение чрезмерно жесткой денежно-кредитной политики, трансформацию бюджетно-налоговой и таможенной политики путем введения дифференцированного подхода в налогообложении, оптимизацию инвестиционной политики, совершенствование методики учетно-аналитических работ и усиление борьбы против коррупции и взяточничества.

Общественный сектор в рыночной экономике

Асатиани Розетта
Тбилиси, 380002,
ул. Университетская 2,
Тбилисский государственный
университет им. И.Джавахишвили,
кафедра политической экономии
Поступила 21 апреля 1996 г.

Резюме. В статье рассматривается недееспособность рынка в развитой рыночной системе в некоторых отраслях экономики и основные обуславливающие факторы существования общественного сектора. В связи с этим, анализируются категории "чистого общественного товара", "смешанного общественного товара" и "частного товара", критерии их разграничения. В работе особое место уделено объяснению внешних эффектов и "квазиобщественного товара".

Общезвестно, что регулирующим инструментом рынка является механизм ценообразования. Поэтому во всех сферах хозяйственной деятельности он может функционировать в равной мере, в некоторых же из них, вследствие отсутствия экономического пространства, или под влиянием социальных факторов, он вообще не действует. По мнению американского ученого К.Флекснера, рыночная экономика представляет живую систему, которая подвержена эволюции и совершенствованию. Некоторые экономисты стараются идеализировать ее. Правда, рынок является ключем к эффективной экономике, но он не способен решить множество других проблем. [1, с.12] Рынок не может положительно решить судьбу тех государственных структур, которые не приспособляются к изменению цен. Нестабильность бизнеса создает условия для безработицы, инфляции и разложения отдельных предпринимателей. Рыночная конкуренция вызывает дифференциацию доходов общества и их несправедливое распределение. Рынок бессилен в обеспечении товарами и услугами малообеспеченных слоев населения. Он не может устранить социальное зло, защитить среду, решить проблемы, связанные со стихийными бедствиями. Рынок не обеспечивает национальную безопасность, функционирование государственных институтов и т.д. Поэтому вполне закономерно, что в развитых странах, наряду с рыночным сектором, существует и нерыночный, общественный сектор, который носит ограниченный характер, господствующее положение же занимают здоровые рыночные отношения, подчиненные действующему законодательству. Что же касается нездоровых рыночных отношений, то против них общество принимает правовые, административные и другие меры.

Нерыночные отношения имеют место как в сфере материального производства, так и в сфере услуг. Они складываются в случае проведения мер по макроэкономическому регулированию, установлению твердых цен на государственных предприятиях, введению государственных



казав, социальной защите населения. В нерыночных условиях находятся организации бюджетного финансирования.

Важно, что общественный сектор получил широкое распространение в странах с развитой рыночной экономикой. Так, например, в США в 1982 году удельный вес занятых в этом секторе составил почти 8 процентов. Это приблизительно 13 процентов тех рабочих мест, которые были созданы в предыдущем десятилетии. [2, с.37]

Нельзя не согласиться с К.Фекснером, по мнению которого на рубеже XX-XXI веков экономика большинства развитых стран является "смешанной" или "социально-рыночной"; последняя оказалась наиболее эффективной и где рынок срашивается с социальным планированием, направленным на улучшение условий жизни. [1, с.12-13]

В решении задач общественного благосостояния ограниченные возможности рынка порождают необходимость государственного налогового регулирования с целью обеспечения социальной справедливости в распределении доходов.

В мировой экономической литературе вмешательство государства в экономику с этой целью называется "улучшением критерия Паретто".

В рыночной системе наличие общественного сектора в основном обусловлено следующими причинами:

Во-первых, рыночный механизм дает возможность потребителям удовлетворить те потребности, которые находят выражение в спросе, но существует ряд потребностей, которые невозможно измерить деньгами. Рынок не влияет на них. Потребности такого вида связаны с особым типом товаров и услуг, который в мировой экономической литературе известен под названием "общественного товара" (Public goods).

Одна часть авторов признает "общественный товар" прерогативой лишь государственного сектора и по этому признаку отличает его от "частного товара". По нашему мнению, этот критерий разграничения не дает возможности точно установить границы общественного предпринимательства. Дело в том, что, во-первых, весь "общественный товар" не производится в государственном секторе и, во-вторых, весь товар государственного сектора не имеет "общественного" характера.

В этом случае было бы лучше учитывать не источник его происхождения, а механизм предложения - рыночный он или нерыночный. Этот критерий точно разграничивает "общественный товар" от "частного". Весь товар или услуги, которые окажутся в орбите рыночного механизма, относятся к категории "частного товара"; а те, что останутся за его пределами т.е. окажутся в общественном секторе, относятся к категории "общественного товара". Однако это вовсе не означает, что ввиду этого "общественный товар" утрачивает свойства товара. Тот факт, что "общественный товар" остается вне рыночного сектора, означает лишь что в общественном секторе не соблюдается одно из обязательных условий функционирования рыночного механизма, а именно то, которое было отмечено еще К.Марксом: возможность продавать выше стоимости или ниже ее не дает никакая естественная или искусственная монополия. [3, с.225] В этом случае в роли "искусственной монополии" выступает государство, которое включает в общественный сектор определенные виды товаров и услуг. Такое его действие может быть вызвано как политическими, социальными или иными мотивами, так и теми

экономическими реальностями, которые определяют границы действия рыночного механизма. Вне его, в общественном секторе, ясно проявляется отсутствие экономического пространства и неспособность рынка.

